**ახლოვდება 13 მაისი. ამ დღეს საქართველოში პირველად აღინიშნება ოლიმპიური დღე. ჩვენი რესპუბლიკა დამოუკიდებლად, მაგრამ აქტიურად ებმება მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში.**

**ოლიმპიური დღის პროგრამაში უპირატესობა ყველგან მიენიჭება სპორტის ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშებს.**

**13 მაისი ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის დღესასწაულად უნდა იქცეს!**


# ლელო

№ 88 (10 252)
5 მაისი, შაბათი, 1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.


ბუშინ დუშეთიდან გვაცნობეს: საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ხელშემწყობი ორგანიზაცია 13 მაისს რაიონის ცენტრში ჩაატარებს დიდ სპორტულ დღესასწაულს სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში. იგივე პროგრამით შეჯიბრებები ჩატარდება ამ რაიონის სოფლებში.

ველით ინფორმაციებს რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან. შეგახსენებთ, რომ პირველი ოლიმპიური დღე საქართველოში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტული ორგანიზაციებისა და უწყებების სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ტარდება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ საზოგადოებასთან არსებული კომპიუტერული განათლების ასოციაცია ოლიმპიური დღის აღსანიშნავად 1990 წლის 13 მაისს 14 საათზე თბილისის ჭადრაკის სასახლეში აწყობენ კომპიუტერულ კონკურს-ვიქტორინას, რომელშიც მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლება.

გულშემატკივრებმა უნდა უპასუხონ კომპიუტერების მიერ დასმულ შეკითხვებს ოლიმპიური მოძრაობისა და ქართული სპორტის ისტორიიდან. გამარჯვებულთათვის დაწესებულია სხვადასხვა ჯილდო.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა დარეკონ ტელეფონით 38-08-14. ეს საჭიროა რეგისტრაციისთვის, რომელიც ჩატარდება 12 მაისამდე.

## ემღვნება ოლიმპიურ დღეს

## ლეილა მესხი ლიდერთა შორის

**ჩოგბურთელთა** ტურნირის სიძლიერეზე მსჯელობა შეიძლება იმის მიხედვით, თუ ვინ თამაშობს მასში და როგორი საპრიზო ფონდია დაწესებული ორგანიზატორების მიერ. ჰამბურგში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება შეფასებულია 350 ათას დოლარად და მასში ასპარეზობს თანამედროვე ჩოგბურთის ორი აღიარებული ლიდერი — შტეფი გრაფი (გფრ) და მარტინა ნავრატილოვა (აშშ). ბუნებრივია, მაყურებლების მთელი ყურადღება სწორედ ფავორიტების თამაშისადმია მიპყრობილი.

აი, ამ საინტერესო ტურნირში, ბევრისთვის შეუმჩნევლად, მიიკვლევს გზას თბილისელი ლეილა მესხი, რომელმაც უკვე სამი შეხვედრა მოიგო და ახლა მსოფლიოს №2 ჩოგბურთელთან მარტინა ნავრატილოვასთან უწევს თამაში. როცა წარმატებაზე ფიქრობ, ადრე თუ გვიან, უსათუოდ უნდა შეხვდე ფავორიტს. ეს სპორტული შეჯიბრების კანონია, მაგრამ ლეილას ბევრი სხვა ჩოგბურთელისგან განსხვავებით ბედი არ სწყალობს: რაღაც ეტაპზე იგი ხან შტეფი გრაფს ხვდება, ხან ნავრატილოვას. ძნელია ამ ორთაბრძოლაში წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ლეილამ ამ ტურნირში თავისი სიტყვა უკვე თქვა და საკუთარ რეიტინგს ქულების საკმაოდ სოლიდური მარაგი შესძინა.

ამას ყველაფერს იმიტომ ვამბობთ, რომ მეორე საბჭოთა ჩოგბურთელმა ლარისა სავჩენკომ სასტარტო შეხვედრაშივე განიცადა მარცხი და გამოეთიშა ასპარეზობას. იგი დამარცხდა ფრანგ კატრინ ტანვიესთან — 0:6, 6:2, 4:6.

რაც შეეხება ფავორიტთა თამაშს, იქ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. გრაფმა მორიგი ორთაბრძოლა მოუგო ავსტრალიელ ნიკოლ პროვისს 6:0, 6:2, ნავრატილოვამ კი მეორე ავსტრალიელი ჩოგბურთელი რეიჩელ მაკუილანი დაამარცხა 3:6, 6:1, 6:1.

## მიმდინარეობს უნივერსიადა

**16 აპრილს** დაიწყო და 28 ივნისამდე გაგრძელდება საქართველოს სტუდენტთა სპორტული კომპლექსური ღონისძიება — უნივერსიადა-90. მაისი ამ შეჯიბრებებით დატვირთული თვეა. ამჟამად მიმდინარეობს პაექრობები თბილისში (კალათბურთი), ქუთაისში (წყალბურთი) და გორში (სამბო).

გუშინ ვერის ბაღში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა ნახევარფინალური შეჯიბრებები ქალ კალათბურთელთა შორის, ვაჟებმა წინასწარი შეხვედრები დაიწყეს.

## გიწვევთ ქალთა წყალბურთი

**დღეს** თბილისის საირმის ქუჩაზე მდებარე სახალხო განათლების სამინისტროს საცურაო კომპლექსში დაიწყება წყალბურთელ ქალთა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ზლატოუსტის, გორკის, ზაპოროჟიეს, კურსკის გუნდები და სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი თბილისის „ივერია-ფისკ“.

**გორკში** გამართული პირველი წრის შემდეგ შარშანდელი გამარჯვებული თბილისელთა გუნდი მეხუთე ადგილზეა. რამდენად კანონზომიერია მისი სადღეისო მდგომარეობა? ამ კითხვაზე პასუხობს „იბერიის“ უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ზურაბ ჩაჩავა.**

— ერთი შეხედვით, გუნდს არასახარბიელო მდგომარეობა აქვს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისის ტური გამოავლენს იმ ოთხეულს, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყებს ბრძოლას ჩემპიონის წოდებისათვის და იქ ანგარიშში აღარ მიიღება წინასწარი ქულები. ცხრილში ნათლად ჩანს, რომ მეოთხე ადგილს მხოლოდ ქულა გვაშორებს, მესამეს კი — ორი. ეს დიდი ჩამორჩენა არ გახლავთ და ამ ხარვეზს მშობლიურ ქალაქში

იხ. მე-4 გვ.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**ალმა-ათა.** აშშ-სა და სსრ კავშირის მოკრივეთა აქ გამართული ამხანაგური შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 6:4. სპეციალისტებზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიოს ჩემპიონის ფრუნზელი ანდრეი კურნიავკას (81 კგ) გამოსვლამ. მან დამაჯერებლად მოუგო ფიზიკურად ძლიერ და ტექნიკურ ტერი მაკგრუმს.

**პარიზი.** ოთხდღიან ველორბოლაში „დიუნკერკის გარშემო“ ლიდერობს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალი ველოსიპედისტი, ირლანდიელი სტეფან როჩი. იგი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გულმოდგინედ ემზადება „ჯირო დ“იტალიას“ რბოლისათვის, რომელიც სტარტს 18 მაისს აიღებს.

**სიდნეი.** ბალახის ჰოკეისტ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხდა ერთ-ერთი ფავორიტი, სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი სამხრეთ კორეის გუნდი. მას ახალი ზელანდიის ნაკრებმა აჯობა — 1:0. სხვა შეხვედრებიდან შეიძლება აღვნიშნოთ: აშშ — კანადა 1:1, ინგლისი-არგენტინა 1:0, გფრ-იაპონია 2:0.

## მაია ჩიბურდანიძე — პრიზიორი

**იუგოსლავიაში** გზად მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ მონაწილეობა მიიღო თურქეთის ქალაქ იზმირში გამართულ ვაჟთა ღია საერთაშორისო ტურნირში. მაიამ წარმატებით განვლო შეჯიბრება და 6,5 ქულით (9-დან) მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

რეპლიკა

## ორმაგი თამაში?

ჩვენმა საზოგადოებრიობამ სიხარულით აღიქვა ტრადიციულ კარატეში საქართველოს ფედერაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების ფაქტი, რაც საქართველოს სპორტსახკომისა და ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით განხორციელდა. ცნობილია, რომ კარატეში რამდენიმე მიმდინარეობაა და თითოეულს თავის საერთაშორისო ფედერაცია ხელმძღვანელობს. საქართველოშიც კარატეს რამდენიმე სტილის სკოლაა. ერთი მათგანის, კერძოდ, შიტოკაის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ტრადიციული კარატეს მიბაძვით საერთაშორისო სარბიელზე გასვლის გზის ძიება ცენტრის გვერდის ავლით დაეწყოთ, ამის თაობაზე სოკ-ის აღმასკომის სხდომაზეც იყო მსჯელობა და თაოსნებმა სრული მხარდაჭერის პირობა მიიღეს. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ საქმე წინ წაიწევდა, მაგრამ შიტოკაის სკოლის თავკაცებმა გზას გადაუხვიეს და სწორედ ცენტრში დაიწყეს „თავშესაფრის“ ძიება, თანაც ყველაფერი ეს მოხდა ფარულად. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მოსკოვში შიტოკაის საკავშირო ფედერაციაში წარდგენილია დოკუმენტი თბილისიდან და სოხუმიდან (კარატეს ამ სტილის წარმომადგენლები მხოლოდ თბილისსა და სოხუმში არიან), რომლითაც სპორტის ამ სახეობის მესვეურები ითხოვენ, ამ ქალაქების კარატისტებმა სემინარები გაიარონ საკავშირო ფედერაციაში და მიიღონ ინსტრუქტორის წოდების მოწმობა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამით ისინი ნებაყოფლობით ექცევიან საკავშირო ფედერაციის გავლენის სფეროში. სხვაგვარად საკავშირო ფედერაცია უკან დააბრუნებდა იმ დოკუმენტებს. ცენტრმა იცის რას აკეთებს.

გამოდის, რომ საქართველოს კარატეს შიტოკაის წარმომადგენლები ორმაგ თამაშს ეწევიან, რამაც მხოლოდ ზიანი შეიძლება მოუტანოს ქართული სპორტის ინტერესებს, მის სუვერენიტეტს.



## საქართველოს X სპარტაკიადა

ონში დასრულდა საქართველოს X სპარტაკიადის ვაჟთა ზონალური ტურნირი კალათბურთში (მთავარი მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი როლანდ ხომერიკი). ასპარეზობაში გორის, ტყიბულის, ბორჯომის, თეთრი წყაროს, მარტვილის, ონის გუნდები გამოდიოდნენ. პირველობა გორელებმა მოიპოვეს, მეორე ადგილზეა ონის, მესამეზე — ტყიბულის გუნდი.

**ნესტორ დუშუაშვილი,**
„ლელოს“ კორ. დეპეშით.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — „იბერია“ — „შევარდენი-1906“-ის შეხვედრის მომენტი.

იხ. მე-2-3 გვ.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„იბერია“ (თბილისი) — „შევარდენი 1906“ (თბილისი) 2:0 (2:0)**

თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

**„იბერია“:** დევაძე, კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, ჩიქოვანი, რევიშვილი, ქეცბაია, კაჭარავა (კერძევაძე), ცაავა (მაჭავარიანი), გურული, გოგრიჭიანი.

**„შევარდენი-1906“:** დოლიძე, ელიაშვილი, ჩხეიძე (ხამხარაძე), კოპალეიშვილი, ძნელაძე, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი, ჟვანია, ქობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: ზ. ხანიაშვილი (თბილისი), ზ. ჯინჯარაძე, ა. კიკაბიძე (ოზურგეთი).

**ხხვადასხვა** ამოცანის წინაშე დგანან რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდები „იბერია“ და „შევარდენი-1906“. „იბერია“ ცდას არ აკლებს, რათა ერთობ არასახარბიელო სტარტის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში დამკვიდრდეს, აი „შევარდენი-1906“-ის საქმე კი, 6 ტურის შემდეგ, ერთობ მოკრძალებული იყო, გუნდმა მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლო ჩემპიონატის პირველ მატჩში სოხუმის „ცხუმთან“ და არც ხეირიანი თამაშით გამოუჩენია თავი. ტურიდან ტურამდე ყველა იმის მოლოდინშია, თუ როდის დაძლევს „შევარდენი-1906“ ფსიქოლოგიურ ბარიერს და აჩვენებს თამაშს, რომელსაც მისგან გულშემატკივრები ელიან.

შეხვედრის პირველი წუთებიდანვე „იბერიის“ მოთამაშეები არ მოსცილებიან სტუმართა საჯარიმოს, უკვე მე-4 წუთზე ზ. რევიშვილმა ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. არც გატანილი ბურთის შემდეგ დამცხრალა „იბერიის“ შეტევები, მეტოქის მეკარე და მცველები რის ვაივაგლახით აუდიოდნენ ამ დაწოლას. მეორე ბურთი „შევარდენი“-1906“-ის კარში ეფექტური დარტყმით 30-ე წუთზე გ. გურულმა გაიტანა — 2:0.

შედარებით უფრო საინტერესოდ წარიმართა მეორე 45-ე წუთი. „იბერიის“ შეტევებს შევარდნელებმა რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევით უპასუხეს, ერთ-ერთ ეპიზოდში ჩინებულად ითამაშა ყულიაშვილმა, რომელიც ცენტრის ხაზიდან ლამაზი დრიბლინგით გასცდა რამდენიმე მცველს და მეკარე დევაძესთან პირისპირ აღმოჩნდა. უკანასკნელ მომენტში კარგად ითამაშა მეკარემ და გადაარჩინა თავისი კარი აშკარა გოლისგან. ბრწყინვალედ ითამაშა მან შეხვედრის მიწურულსაც, როდესაც საჯარიმოდან გათამაშებული ძლიერი დარტყმის შემდეგ აკრობატულ ნახტომში მოიგერია ძნელაძის დარტყმული ბურთი. ეს იყო და ეს. სტუმრებს სხვა ხიფათი ამ შეხვედრაში აღარ შეუქმნიათ, „იბერია“ კი, მიუხედავად ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობისა, პირველ ნახევარში გატანილ ორ ბურთს დასჯერდა.

**ზაზა კახაძე.**

**„ბათუმი“ (ბათუმი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0 (1:0).**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი.

**„ბათუმი“:** მამინაშვილი, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი (ხიბაია), ზედანია (მაჭუტაძე), მ. მახარაძე, ი. მახარაძე, შანიძე, ტულუში, მაისურაძე (შეყილაძე).

**„კოლხეთი“:** ბაბუაძე, ჭეჭელავა, (ჭიჭინაძე), კაციტაძე (დოლბაია), ხურცილავა, ლატარია, მამფორია, სიჭინავა, რუხაძე, გვახალია (ბაკურაძე), თევზაძე, ქვილითაია.

მსაჯები: ა. კოკაია, ვ. ეჯიბია, ვ. ტალიაშვილი (თბილისი).

**აი,** უკვე მეშვიდე ტურიც დამთავრდა და ბათუმელთა კარი კვლავ აუღებელი დარჩა. პირველი წუთებიდანვე გამოიკვეთა მასპინძელთა სრული სათამაშო უპირატესობა, ისინი კარგად იყენებდნენ ფლანგურ გადაცემებს, გარდა ამისა, თავდასხმას აქტიურად ეხმარებოდნენ მცველები.

ხობელებმა ერთი რეალური საგოლე მომენტის შექმნაც კი ვერ მოახერხეს, ბათუმელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ კიკლიაშვილი, გოგიტიძე, ტულუში. პირველ 20 წუთში მათ სამჯერ შექმნეს სახიფათო მომენტი სტუმართა კართან. 21-ე წუთზე ტულუშმა მიიღო დურდიაძის გრძელი გადაცემა, მოატყუა მცველები, მეკარე და ცარიელ კარში შეაგდო ბურთი. მეორე ტაიმიც ბათუმელთა სრული უპირატესობით წარიმართა, ხობელთა კონტრშეტევები საფრთხეს ვერ უქმნიდნენ მეკარე მამინაშვილის კარს და მხოლოდ ე. თევზაძის თავგამოდებულმა თამაშმა შედეგი ვერ გამოიღო. 61-ე წუთზე ზედანიას წამოწყებული კომბინაცია კიკლიაშვილმა გოლით დააგვირგვინა — 2:0.

ბათუმელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს. კვლავ აქტიურობდნენ ტულუში, მ. მახარაძე, ზედანია. სწორედ ზედანიას შესანიშნავი თამაშის შედეგად გავიდა მესამე გოლი. მან სამი ფეხბურთელი მოატყუა, გავიდა მეკარესთან პირისპირ, მოატყუა მეკარეც და ბაბუაძეს ისღა დარჩენოდა აკრძალული ილეთისთვის მიემართა.

მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც უნაკლოდ შეასრულა ტ. დურდიაძემ.

6 მოგება და ერთი ფრე — ასეთია ჯერჯერობით ბათუმელთა ბალანსი.

**მურმან კოპალაძე.**
**„ლელოს“ საკ. კორ.**



რუსთავის „გორდასა“ და გორის „დილას“ შეხვედრის მომენტი.
რ. გაბრიჭიძის ფოტო.

**„გორდა“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 2:0 (1:0)**

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 2 მაისი.

**„გორდა“:** მეშკოვი (ტოგონიძე), ფირცხალავა, დიმიტრიშვილი, კუდინოვი, ქასრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (ავაქიანი), ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე (კილასონია).

**„დილა“:** ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, ქობეხოვი, წიკლაური, ტაბატაძე, მელქაძე (ბალაბანოვი, ჰინჭარაული), მიხანაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, ხორგუაშვილი.

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, მ. ჰელიძე (ორივე — თბილისი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

**თამაში** თითქმის თხუთმეტი წუთი მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა, მერე, 22-ე წუთზე, კარგი შესაძლებლობა მიეცა ხორგუაშვილს, რომელმაც მცირე მანძილით ააცილა ბურთი მეტოქის კარს. ამ შეტევამ რუსთაველი ფეხბურთელები გამოაფხიზლა და ზედიზედ 23-ე, 25-ე და 30-ე წუთებზე მიქაშავიძისა და ძმები კაპანაძეების მიერ დარტყმული ბურთები მოიგერია სტუმართა მეკარემ.

31-ე წუთზე ტარიელ კაპანაძის ჩაწოდებულ ბურთს ფანცულაიამ მიუსწრო და ლამაზი დარტყმით ბურთი მეტოქის კარში მოათავსა — 1:0.

მეორე ტაიმი ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მერე კი ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში კარის აღების კარგი საშუალება ვერ გამოიყენეს მეტრეველმა და კუდინოვმა.

თამაშის დამთავრებას ერთი წუთი აკლდა, როცა გორელმა ფეხბურთელებმა უმეთვალყურეოდ მიატოვეს „გორდას“ თავდამსხმელები, რომლებმაც ეს შეცდომა კარგად გამოიყენეს — ტ. კაპანაძის მიერ წამოწყებული შეტევა, კარგად დაასრულა ა. კაპანაძემ და წერტილი დაუსვა ამ შეხვედრას.

**აკაკი უანდიაშვილი.**
(„ლელოს“ კორ.).

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „ცხუმი“ (სოხუმი) — 3:0 (0:0)**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 2 მაისი.

**„გურია“:** ქანთარია, მიქაბერიძე, ჩხაიძე, დანელია, ბაკურაძე (კვინტრაძე), ცომაია, ბარათაშვილი (ქურიძე), ტყებუჩავა, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

**„ცხუმი“:** ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, მ. ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბისკირია, სიჭინავა.

მსაჯები: ე. ხილაგავა, უ. ფურცელაძე (ორივე — თბილისი), გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

**„ცხუმის“** თამაში, უდავოდ, იმსახურებს გულშემატკივართა სიმპათიებს, რამდენადაც გუნდის ძირითადმა ბირთვმა ჭეშმარიტად ეროვნული საქმისათვის სასიკეთო ნაბიჯი გადადგა. დღითიდღე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარში დგომითა და დახმარებით სოხუმის ახლად შექმნილი კლუბი ახალ-ახალ შევსებას ღებულობს და თამაშსაც აშკარად სასიკეთო ცვლილებები ემჩნევა.

ლანჩხუთის „გურია“ კი წინა ტურში ხობის „კოლხეთთან“ დამარცხების შემდეგ, მთელი სერიოზულობით ემზადებოდა. მასპინძლებმა თამაშის დასაწყისში რამდენიმე სერიოზული მანევრი განახორციელეს, შემდეგ კი ინიციატივა ხელთ იგდო „ცხუმმა“. ერთ მომენტში ინალიშვილი პირისპირ გავიდა მეკარესთან, რაც გოლის გატანის რეალურ შანსს იძლეოდა, მაგრამ მან რატომღაც მოინდომა ლამაზი ეფექტური დარტყმით აეღო ქანთარიას კარი. დაგვიანებული იერიში მოიგერია მეკარემ, აქ იმარჯვა ჯიშკარიანმა, ბურთი კვლავ გაგზავნა მასპინძელთა კარისკენ, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

„ცხუმს“, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შეკრული და ჩამოყალიბებული, აქვს თამაშის საკუთარი ხელწერა, სტილი და თუ მოთამაშეები ამ სულისკვეთებით გააგრძელებენ ბრძოლას, შეუძლიათ მაღალ მიზნებზეც იფიქრონ.

ვიდრე მეორე ნახევრის განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლანჩხუთელმა მაყურებელმა ვერ გამოამჟღავნა კორექტულობა და, რაც მთავარია, თავისი გუნდის სიყვარული. შეხვედრის დასაწყისშივე რამდენიმე მომენტის „გაფუჭების“ შემდეგ, მაყურებელი, რომელმაც ვერ აპატია თავის გუნდს „კოლხეთთან“ მარცხი, ბილწსიტყვაობად დაიღვარა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში გასახდელიდან გამომავალ ბიჭებს და მწვრთნელს გინების კორიანტელი დაახვიეს თავს...

ანგარიში 48-ე წუთზე გახსნა ფრიდონაშვილმა, ამან გამოაცოცხლა მასპინძლები, გააქტიურდა უგრელიძე, რომელმაც ზედიზედ ორი გარღვევა განახორციელა „ცხუმის“ საჯარიმოზე, თუმცა, უშედეგოდ. თამაშის სადავეები მთლიანად ხელთ იგდო „გურიამ“.

რამდენიმე წუთში ჟორჟოლიანს კვლავ მოუწია საკუთარი კარიდან ბურთის გამოტანა: ტყებუჩავამ დაახლოებით 22 მეტრიდან ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა, სოხუმელი გოლკიპერი კი რატომღაც გაუნძრევლად დადგა და თვალი გააყოლა ბურთს.

სტუმრებს სურდათ პრესტიჟის გოლის გატანა. თამაშის დასასრულს სამი წუთი აკლდა, როცა „ცხუმის“ მეკარემ ბურთი მოედნის ცენტრში ჩააწოდა, აქ მას დაეუფლა დანელია, ლამაზი დრიბლინგით წაიღო ბურთი „ცხუმის“ საჯარიმოში, სადაც იგი ერთ-ერთმა მცველმა წააქცია, პენალტი შესანიშნავად გამოიყენა კორღალიძემ და წერტილი დაუსვა თავისი გუნდის გამარჯვებას.

**ინგა ჩახვაშვილი,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

**„მზიური“ (გალი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) — 0:0 (0:0)**

გალი. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

**„მზიური“:** მაკახარაშვილი, ქ. კვეკვესკირი, ფარფალია, ა. კვეკვესკირი, ხურცილავა, გაბისონია, კაკავა, ეთერია (ღურწკაია), დ. ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

**„ოდიში“:** ჰანტურია, კვიტატიანი, რ. მაქაცარია, ო. თუთბერიძე, ჯავაშვილი, ნადარეიშვილი, მალანია (სართანია), შეროზია, ბიგვავა, თევზაძე (ტიბუა), აფაქიძე (გოგოხია).

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, ი. შალამბერიძე, ვ. ალიევი (თბილისი).

**გალში** გადაუღებლად წვიმდა და ამან ბუნებრივია, იმოქმედა მინდვრის ვარგისიანობაზე. ატალახებულმა სარბიელმა საშუალება არ მისცა ფეხბურთელებს გამოევლინათ მთელი თავიანთი შესაძლებლობები.

ორივე გუნდი პირველი წუთებიდანვე ტერიტორიული უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა და უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა ზუგდიდელებმა მეტოქეზე გაცილებით უკეთ განახორციელეს, თუმცა, პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ შეძლეს.

მეორე ნახევარიც „ოდიშის“ შეტევებით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბიგვავა, შეროზია, აფაქიძე, ტიბუა. უკვე 50-ე წუთზე შეროზიამ ხელიდან გაუშვა საგოლე მომენტი. ხუთი წუთის შემდეგ ჯავაშვილმა და ბიგვავამ ვერ გამოიყენეს კარგი შესაძლებლობა, მეორე ნახევრის შუა პერიოდისთვის გალელმა ფეხბურთელებმაც გამოიღეს ხელი, მაგრამ არც მათმა შეტევებმა მისცათ ნაყოფი.

შემდეგ ისევ ზუგდიდელები დაეუფლნენ ინიციატივას. ტიბუამ ძელსაც მოახვედრა ბურთი, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა. მეტოქეებმა ქულები გაიყვეს და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით გულშემატკივრებზე. მატჩის დამთავრებისთანავე მაყურებელთა ერთი ჯგუფი (ჯგუფს პირობითად ვამბობ, თორემ იგი რამდენიმე ასეულ ადამიანს მოიცავდა) შეიჭრა მინდორზე, ალყაში მოაქცია მსაჯები და შეეცადა მათთან ფიზიკურ ანგარიშსწორებას. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

მსაჯებს, დიახაც, ჰქონდათ შეცდომები, რომელთაც ორივე გუნდის სასარგებლოდ უშვებდნენ და რომელთა უმრავლესობას მეტისმეტი ხასიათისა იყო, მაგრამ როდესაც საზოგადოებას ზნეობრივი დონე არ დგას სათანადო დონეზე, წესრიგის დამცველებმა უნდა შეძლონ წესრიგის დამყარება. რასაც, ვერ ვიტყვით გალელ წესრიგის დამცველებზე, რომლებიც ძალზე მცირე რაოდენობით იყვნენ მოვლინებულნი მატჩზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყველაფერი ჩემპიონატის სტარტზე ხდება, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩნდეთ ჩემპიონატის მიწურულს. თითქმის ყველა აღტაცებით შეხვდა საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დაფუძნებას და ეროვნული ჩემპიონატის სტარტს, მაგრამ მარტოოდენ სიტყვით საქმე რომ არ გაკეთდება, ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა. სწორედ ახლა უნდა ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში, დავიოკოთ ვნებები და ემოციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს მიერ გადადგმული ყოველი დაუფიქრებელი ნაბიჯი ქართული ფეხბურთის ღალატის სტატუსს დაიმსახურებს.

**ლევან ჯავახიშვილი.**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

**„სანავარდო“ (სამტრედია) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:0 (1:0)**

ქ. რუსთავი, „ფოლადის“ სტადიონი. 3 მაისი.

**„სანავარდო“:** თოდაძე, კობრეიძე, ვაშაკიძე, ჰელიძე, თვალაბეიშვილი, ამბიძე (რუხაძე), ბაბუნიძე, შეპტიცკი, გოგაძე, დადუნაშვილი, დვალიშვილი.

**„ქუთაისი“:** ქორიძე, შავგულიძე, თორღაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე (ჯანაშია), დვალიშვილი (ხუხიაშვილი), შენგელია, დარახველია, ფაიქიძე.

მსაჯები: ა. მილჩენკო, ვ. ტოროსიანი, ო. გაგუა (ყველა — სოხუმი).

**სამტრედიის** „სანავარდოს“ სტადიონი სამი თამაშით არის დისკვალიფიცირებული, ამიტომ მეშვიდე ტურის მატჩი გუნდმა რუსთავში გამართა, „სანავარდომ“ ამ დღეს ქუთაისის „ქუთაისს“ უმასპინძლა.

თამაშის მე-7 წუთზე დვალიშვილის მიერ ჩაწოდებული ბურთი, სამტრედიელმა გოგაძემ ძლიერი დარტყმით გოლით დააგვირგვინა — 1:0. ანგარიშის შენარჩუნებისთვის სამტრედიელები თავს არ ზოგავდნენ, ქუთაისელთა მუდმივ შეტევებს გაჭირვებით, მაგრამ მაინც უმკლავდებოდნენ.

მეორე ტაიმი კვლავ ქუთაისელთა შეტევით დაიწყო. 55-ე, 57-ე და 58-ე წუთებზე ბზიკაძის, ფაიქიძის, შენგელიას იერიშები კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ტაიმში ანგარიშში ცვლილება აღარ მომხდარა. გაიმარჯვა სამტრედიის „სანავარდომ“ — 1:0.

(„ლელოს“ კორ.).

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 3:2 (1:0).**

ფოთი. ცენტრალური სტადიონი. 3 მაისი.

**„კოლხეთი“:** გვახალია (მიქავა), კურგენიანი, კაკაჩია, გიორგაძე, ბაჭელაძე, შამათავა, თოფურია, დ. მახარაძე (ჭყონია), ჯოლელი, თვარაძე, ავრამიდისი (ინიაშვილი).

**„ლიახვი“:** თ. ხანაკოევი, პოპოზოვი, კახნიაშვილი, მარღიევი, მიხაილოვი, გახიევი, დოგუზოვი, მ. ხანაკოევი (ნახუაშვილი), რომელაშვილი, ქოქოევი (ხუბეჯიშვილი), ჯიოევი.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), მ. მალაღურაძე (თბილისი), ნ. წურქავა (ფოთი).

**ფოთში** ორი დღე გადაუღებლად წვიმდა, და მხოლოდ მატჩის დაწყების წინ გამოიდარა. „კოლხეთის“ შემადგენლობაში ტრავმის გამო არ თამაშობდნენ გიგატაძე და ქაჯაია. თამაში დაიწყო ორმხრივი იერიშებით. უკვე მე-12 წუთზე თვარაძეს ძლიერი დარტყმის შემდეგ, ბურთი კუთხურზე ძლივს მოიგერია მეკარე სანაკოევმა. ორი წუთის შემდეგ თოფურია-თვარაძე-გიორგაძის კომბინაცია გოლით დამთავრდა — 1:0.

პირველ ნახევარში უპირატესობას ფოთელები ფლობდნენ, „ლიახვი“



...რათზე: მომენტი განვლილი ...დან „მერცხალი" — „სამ-...ლი".

ა. გოგიტაურის ფოტო.

...შეტევებით პასუხობდა, ჯიო-...ა რომელაშვილს ჰქონდათ მე-...ს კარის აღების შესაძლებლო-...გრამ გვასალია ორჯერვე ად-...ე დახვდა ბურთს.
...ორე ტაიმი სტუმრების შეტე-...დაიწყო. 55-ე წუთზე პოპოზო-...დარტყმა ძელს მოხვდა. ორი ...ს შემდეგ საპასუხო შეტევა ...წყეს მასპინძლებმა, მეკარეს-...პირისპირ გასული მახარაძე უხ-...აქციეს და დაინიშნა 11-მე-...ნი, რომელიც ზუსტად შეასრ-...თავად დაზარალებულმა.
...ე წუთზე ჰყონიამ მინდვრის ...ულიდან წამოიწყო შეტევა, მო-...ა რამდენიმე მცველი, მეკარე ...ოევი და ანგარიში სამამდე გა-...ა.
...ე წუთზე ცხინვალელმა ფეხ-...თელებმა ჩამოაწოდეს კუთხური ... სანაკოევმა თავური დარტყმით ...ირა ანგარიში სხვაობა — ...გაშვებული გოლის შემდეგ ფო-...ბი გააქტიურდნენ და იმდენად ...ნენ შეტევებით, რომ უყუ-...ებოდ მიატოვეს ჯიოევი და ...ზოვი, რომელთა მიერ გათა-...ული კომბინაცია დოგუზოვმა ...თ დაასრულა — 3:2. ასე და-...და მატჩი. „კოლხეთმა" პირ-... გამარჯვება მოიპოვა საკუთარ ...რზე. აღსანიშნავია, რომ მა-...ჩატარდა ძალზე კორექტულად.

**ტრისტან მანია,**
„ლელოს" კორ.

**„მერცხალი" (ოზურგეთი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1 (2:0)**

ოზურგეთი, ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

„მერცხალი" ზოიძე, ცერცვაძე, კაშია, მუავანაძე, კალატოზიშვილი (ბერიშვილი), ბარამიძე (ჩხაიძე), ამაშუკელი, ათუაშვილი, თეთრაძე (გელაძე), ნახუაშვილი, ჩიგოგიძე.

„სამგურალი": მიქაძე, მუშკუდიანი, კუხიანიძე (გოგელიძე), ბერიძე, ვ. ფეხტვენიძე, ცნობილაძე (იონანიძე), ჯ. იობიძე (რ. იობიძე), კერესელიძე, ლ. ფეხტვენაძე, ჩხაბერიძე, ხარაბაძე.

მსაჯები: მ. მიმინოშვილი, ო. გუნთაძე, ზ. ლაცაბიძე (თბილისი).

გოლები: თეთრაძე, ბარამიძე, ხარაბაძე.

## VI ტურის მატჩები

**„დილა" (გორი) — „კოლხეთი-1918" (ფოთი) 0:1 (0:0)**

გორი. ცენტრალური სტადიონი, 28 აპრილი.

„დილა": ჩოჩიევი (მგელაძე), კონდრატიევი, ჩადუნელი (გაგანიძე), ქობესოვი, წიკლაური, ტაბატაძე, მარეხაშვილი, გაზაშვილი, მარლიშვილი (კოშკაძე), ნეფარიძე, ხორგუაშვილი.

„კოლხეთი-1918": გვასალია, გურგენიანი, ჩახავა, გიორგაძე, თიბილაშვილი (კაკაჩია), შამათავა, თოფურია, მახარაძე (ჰყონია), ჯულელი, მთვარაძე, ავრამიდისი.

მსაჯები: მ. ჰელიძე, ვ. ეჯიბია, (ორივე—თბილისი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

გოლი: თოფურია.

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მზიური" (გალი) 1:0 (1:0)**

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი, 28 აპრილი.

„ამირანი": მესხია, ჩხვირკია, გოგოხია, შელია, ახვლედიანი, თ. შამუგია, ძალამიძე (ვართანოვი), კაკუბავა, ქობალია, აფენდოპულო (ლურწკაია), ჰითანავა (როსტობაია).

„მზიური": მაკახარაშვილი, ლურწკაია, ფარფალია, ა. კვეკვესკირი, ხურცილავა, კ. კვეკვესკირი, კაკავა, ეთერია, ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: ვ. შელია, რ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი (გაგრა).

გოლი: ქობალია.

**„სამგურალი" (წყალტუბო)— „გორდა" (რუსთავი) 0:1 (0:1)**

წყალტუბო. ცენტრალური სტადიონი. 28 აპრილი.

„სამგურალი": მიქაძე, მუშკუდიანი, წიქარიშვილი, ბერაძე, ვ. ფეხტვენიძე, ცნობილაძე, ჯ. იობიძე, კერესელიძე, ლ. ფეხტვენიძე (გოგელიძე), ჩხაბერიძე, ხარაბაძე.

„გორდა": მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (ლობჟანიძე), ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე (შეყილაძე).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ს. შალამბერიძე, რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გოლი: ფანცულაია თერთმეტმეტრიანით.

გააფრთხილეს ა. კაპანაძე.

* * *

შენიშვნა: ტექნიკური მიზეზების გამო, ხაშურის „ივერიისა" და ოჩამჩირის „ამირანის" ანგარიშს დღევანდელ ნომერში ვერ ვაქვეყნებთ. ოზურგეთის „ოზურგეთს" სახელი გადაერქვა, მას კვლავ „მერცხალი" ეწოდება.

## მსაჯთა რეესტრი

**VIII ტური. 6 მაისი.**

„სამგურალი" (წყალტუბო) — „დილა" (გორი). მ. მალალურაძე, ე. სილაგავა, ვ. ხეროიანი (თბილისი).

„ლიახვი" (ცხინვალი) — „გორდა" (რუსთავი). ვ. შელია, ს. პრავოვი, რ. ჩიქოვანი (გაგრა).

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „კოლხეთი"-1913" (ფოთი). მ. მიმინოშვილი, უ. ფურცელაძე, ვ. ეჯიბია (თბილისი).

„ოდიში" (ზუგდიდი) — „ივერია" (ხაშური), რ. ტალიაშვილი (თბილისი), მ. ფოლადაშვილი, ე. გვარამაძე (რუსთავი).

„შევარდენი"-1903 (თბილისი) — „მზიური" (გალი). მ. კობიაშვილი (დუშეთი), ა. წერეთელი (თბილისი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).

„კოლხეთი" (ხობი) — „იბერია" (თბილისი). გ. ხეფიაშვილი (თბილისი, პ. დოგრაშვილი, ზ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

„ცხუმი" (სოხუმი) — „ბათუმი" (ბათუმი). მ. ჰელიძე, ო. გუნთაძე, თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).

**7 მაისი**

„ქუთაისი" (ქუთაისი) — „გურია" (ლანჩხუთი). ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (სოხუმი).

„მერცხალი" (ოზურგეთი) — „სანავარდო" (სამტრედია). შ. ხანიაშვილი, ა. ნიშნიანიძე (თბილისი), ო. ლორთქიფანიძე (ტყიბული).

**I ჯგუფი. 6 მაისი.**

„საჩხერე" (ჩიხურა) — „იმერეთი" (ხონი). თ. ლაცაბიძე (თბილისი), ი. ნოზაძე, გ. ბეხთაევი (გორი).

„შუქურა" (ქობულეთი) — „ქართლი" (გორის რ-ნი). ი. შალამბერიძე, ნ. კილაძე (თბილისი), დ. კვირკველია (ჩხოროწყუ).

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „საპოვნელა" (თერჯოლა). ა. შილაკაძე. გ. ხეჩუაშვილი, ზ. დარჩია (თბილისი).

„კახეთი" (თელავი) — „ალაზანი" (გურჯაანი). ა. კოკაია, დ. გაგნიძე, თ. კურტანიძე (თბილისი).

„მალაროელი" (ჭიათურა) — „დურუჯი" (ყვარელი). დ. მენთეშაშვილი, შ. თომაშვილი, თ. რეხვიაშვილი (თბილისი).

„არაგვი" (დუშეთი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი). მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ვ. გვიჩია, მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი).

„დინამო" (გაგრა) — „არმაზი" (მცხეთა). ვ. ალიევი (თბილისი), ვ. ჯიქია (ქობულეთი), ვ. ...ინი (ფოთი).

„სულორი" (ვანი) — „მადნეული" (ბოლნისი). ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ბ. გვაზავა (აბაშა), კ. წულუკიძე (ფოთი).

„სქური" (წალენჯიხა) — „მარგვეთი" (ზესტაფონი). ზ. ჯინჭარაძე. ა. კიკაბიძე (ოზურგეთი), ზ. ლაცაბიძე (თბილისი).

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). ტ. ნიშნიანიძე (თბილისი), გ. შავგულიძე (რუსთავი), ა. ეიუიაშვილი (მცხეთა).

# გათამაშების ცხრილი

## უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 5- მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ: |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბათუმი" (ბათუმი) | 7 | 6 | 1 | 0 | 12-0 | 19 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 7 | 6 | 0 | 1 | 17-1 | 18 |
| „ქუთაისი" (ქუთაისი) | 7 | 6 | 0 | 1 | 13-6 | 18 |
| „გორდა" (რუსთავი) | 7 | 5 | 1 | 1 | 12-4 | 16 |
| „კოლხეთი-1918" (ფოთი) | 7 | 5 | 1 | 1 | 12-5 | 16 |
| „იბერია" (თბილისი) | 7 | 4 | 2 | 1 | 19-4 | 14 |
| „სანავარდო" (სამტრედია) | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| „მერცხალი" (ოზურგეთი) | 7 | 3 | 3 | 1 | 6-8 | 12 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 7 | 3 | 2 | 2 | 8-8 | 11 |
| „ივერია" (ხაშური) | 7 | 3 | 0 | 4 | 6-9 | 9 |
| „დილა" (გორი) | 7 | 2 | 1 | 4 | 8-11 | 7 |
| „მზიური" (გალი) | 7 | 2 | 1 | 4 | 6-14 | 7 |
| „ცხუმი" (სოხუმი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5-8 | 6 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 7 | 0 | 4 | 3 | 3-6 | 4 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 7 | 1 | 0 | 6 | 1-13 | 3 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 7 | 0 | 2 | 5 | 6-13 | 2 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 7 | 0 | 1 | 6 | 4-18 | 1 |
| „ლიახვი" (ცხინვალი) | 7 | 0 | 0 | 7 | 4-23 | 0 |

# I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის VI და VII-ტურების შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ჩიხურა" (საჩხერე) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 3:1, „იმერეთი" (ხონი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:0, „შუქურა" (ქობულეთი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1, „კახეთი" (თელავი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 3:1, „მალაროელი" (ჭიათურა) — „არმაზი" (მცხეთა) 2:0, „არაგვი" (დუშეთი) — „სიონი" (ბოლნისი) 1:0, „დინამო" (გაგრა) —„მარგვეთი" (ზესტაფონი) 2:0, „სულორი" (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0.

„სქური" (წალენჯიხა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 2:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ჩიხურა" (საჩხერე) 0:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა) 1:0, „მარგვეთი" (ზესტაფონი) — „სულორი" (ვანი) 2:1, „სიონი" (ბოლნისი) — „დინამო" (გაგრა) 1:1, „არმაზი" (მცხეთა) — „არაგვი" (დუშეთი) 2:1, ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 0:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „კახეთი" (თელავი) 0:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4:1, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „შუქურა" (ქობულეთი) 3:3, „ქართლი" (გორი რ-ნი) — „იმერეთი" (ხონი) 5:0.

# „ვისია, ვისია?.."

ამ ქართულ ხალხურ სიმღერაში მალევე ირკვევა, ვინცაა ქალი ლამაზი, მაგრამ, იგივეს ვერ ვიტყოდით არანაკლებ ლამაზ ფეხბურთელ ქალთა გუნდ „ივერიაზე", რომელმაც კარგა ხანია ვერ დაადგინა ვისი კუთვნილება იყოს — პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებისა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი, თუ რომელიმე სხვა ორგანიზაციისა. და ... თუმცა ამაზე ბოლოს.

...საქართველოში ფეხბურთელ ქალთა გუნდი 1975 წელს შეიქმნა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელში, ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი ა. ტალახაძის ინიციატივით. სასწავლებელში ჩამოყალიბებულ თექვსმეტ გუნდს შორის შეჯიბრებაც კი გაიმართა მინიფეხბურთში. მაგრამ მაშინ რომელიღაც „ჩინოვნიკმა" სიტყვა დააგდო, ბურთის დევნა ქალების საქმე არ არისო და ეს კარგი წამოწყებაც ჩაიშალა.

მხოლოდ ათი წლის შემდეგ ეღირსათ სასწავლებლის ფეხბურთელ გოგონებს თავიანთი სურვილის ასრულება — სწორედ იმ დღეებში, როდესაც საქართველოში შვედი ფეხბურთელი ქალები ჩამოვიდნენ. შვედმა გოგონებმა საჩვენებელი მატჩი გამართეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე. მას ათეული ათასი გულშემატკივარი დაესწრო. მეორე დღეს ჩვენი გოგონები სასწავლებლის იმჟამინდელი დირექტორის გიორგი გვენეტაძის კაბინეტის კარს მიადგნენ და დახმარება ითხოვეს. ასე შეიქმნა ახალი გუნდი, რომლის შექმნას იკისრა მაშინდელმა „სპარტაკმა", დაიწყო გულმოდგინე წვრთნა, ამხანაგური შეხვედრები. მომავალმა მედდებმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს გორელი, ზუგდიდელი, ფოთელი, ქუთაისელი ფეხბურთელები. 1986 წელს ქუთაისში ადგილობრივ „იმედთან" მაყურებლით სავსე სტადიონზე გამართეს საქველმოქმედო მატჩი, რომელიც თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 4:0. მთელი შემოსავალი ორივე გუნდის თხოვნით ჩერნობილის ფონდში გადაირიცხა. მაშინ თბილისელი ფეხბურთელები რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადის ჩემპიონის რანგით ჩავიდნენ ქუთაისში. დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ სპორტული პრესა უწყინარი იუმორით წერდა: „თბილისელმა მოწყალების დებმა „უმოწყალოდ" გაანადგურეს თავიანთი ქუთაისელი კოლეგები".

1987 წლის აგვისტოში კიშინიოვში გაიმართა ფეხბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" დამატება — „სობესედნიკის" პრიზზე. ტურნირის ფინალურ მატჩში, რომელშიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის რვა საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა, ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებლისა და მოსკოვის ოლქის ქალაქ რამენსკოეს „ტექსტილშჩიკი". ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ტექსტილშჩიკმა", თბილისელ გოგონებს ვერცხლის მედლები გადაეცათ. სამაგიეროდ მათ მოიპოვეს „მაყურებელთა სიმპათიის პრიზი" და სხვა სამახსოვრო ჯილდოები. ქართველ გოგონებს მრავალი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. მათ თამაშებზე კიშინიოვის „დინამოს" სტადიონზე ანშლაგი იყო. მოლდავეთის ტელევიზიამ გაითვალისწინა მაყურებელთა დიდი ინტერესი ტურნირისადმი და ფინალური მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია მოაწყო. თამაშის შედეგი მსაჯთა აშკარა არაობიექტურობამ განსაზღვრა. არბიტრმა არ ჩათვალა ჩვენი გოგონების მიერ გატანილი გოლი. უნდა ითქვას, რომ ივერიელებმა ტექნიკურადაც დაჯაბნეს მეტოქე. ჩვენი თავდამსხმელები მეკარესთან პირისპირ სამჯერ გავიდნენ, გვერდითმა მსაჯმა კი სამჯერვე თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. ქართველმა გოგონებმა თვალცრემლიანებმა დატოვეს მინდორი.

კიშინიოვში თბილისელთა ფინალურ მატჩს დაესწრო „ნისტრუს" გუნდის უფროსი ალექსანდრ პროცენკო. თბილისელთა თამაშით გამოწვეული აღფრთოვანება პროცენკომ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „შეძლებიათ თქვენს გოგონებს ფეხბურთის თამაში, თანაც ძალიან ლამაზი თამაში".

სხვათაშორის, ამ ტურნირამდე ჩვენი ფეხბურთელი გოგონები ბორჯომის სპორტსკოლის ვაჟთა გუნდს შეხვდნენ და დაამარცხეს იგი ანგარიშით 4:3. 1988 წლის აპრილში, თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებლის გუნდმა უმასპინძლა შვეციის ქალაქ შელეფტეოს „შტორმის" გოგონათა კლუბს და გაიმარჯვა — 2:0.

1988 წლის მაისში „ივერიამ" უკრაინაში გაზეთ „ვეჩერნი კიევის" პრიზზე გამართულ ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა არც ერთი თამაში არ წაუგია. კიევშიც ყველა მოხიბლული დარჩა „ივერიის" თამაშით. გულშემატკივრებმა არაერთხელ დააჯილდოვეს ტაშით ქართველი გოგონების ტექნიკური, სამხრეთელთათვის დამახასიათებელი ტემპერამენტიანი თამაში.

იმავე წლის ივლისში კი „სობესედნიკის" პრიზზე გამართული ტურნირი საბჭოთა კავშირის პირველ არაოფიციალურ პირველობად იქცა. თუ წინა წელს ამ ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობდა, ახლა სურვილი ოთხმოცმა კოლექტივმა გამოთქვა. შეჯიბრება მოსკოვის მახლობლად ქალაქ კაშირაში გაიმართა. ფინალურ სტადიაში ოცი გუნდი მონაწილეობდა. ისინი კენჭისყრით ოთხ ჯგუფად დაყვეს. მეოთხე ჯგუფში „ივერიასთან" ერთად ასპარეზობდნენ ვილნიუსის „ეგლე", დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", ლენინგრადის „სკოროხოდი" და კრასნოდარის გუნდი. მონაწილენი დღეში ორ თამაშს ატარებდნენ — დილას და საღამოს. ივერიელებმა პირველ შეხვედრაში დიდი ანგარიშით — 4:0 დაამარცხეს კრასნოდარელები, მეორე მატჩში ასევე დიდი ანგარიშით 3:0 მოუგეს „ეგლეს", ფრედ ითამაშეს ლენინგრადელებთან — 1:1, ბოლოს „დნეპრის" ძლიერ გუნდს სძლიეს — 1:0 და ნახევარფინალში გავიდნენ. სხვა ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს მოსკოვის ოლქის მალახოვკის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რამენსკოეს „ტექსტილშჩიკმა" და კიევის „სპარტაკმა". ნახევარფინალში ქართველი გოგონები კიეველებს შეხვდნენ. თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე „ივერიის „ბომბარდირმა ინგა სულამანიძემ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. მეორე ნახევარფინალში მალახოველებმა თერთმეტმეტრიანებით დაამარცხეს რამენსკოელები.

ფინალური მატჩი მალახოვკის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. თბილისელებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე. მალახოვკელები თავიდანვე მხოლოდ თავიანთი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, ეტყობა კვლავ თერთმეტმეტრიანების იმედად იყვნენ. მიმდინარეობდა მატჩის უკანასკნელი წუთი. სტადიონზე მოსული მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი მატჩის შემდგომი მოსალოდნელი პენალტების სერიის მოლოდინში იყო. მაგრამ ქართველი გოგონები სხვაგვარად ფიქრობდნენ. ისინი არ ურიგდებოდნენ საყაიმო ანგარიშს. ბოლო შეტევა და მეტოქეთა გუნდის ფეხბურთელმა ხელით ითამაშა საჯარიმო მოედანზე. პენალტი! ღელავს გუნდის კაპიტანი ინგა სულამანიძე. მოკლე გამორბენი და ბურთი ბადეში ეხვევა. ეს იყო მეშვიდე — ჭეშმარიტად „ოქროს ბურთი", რომელიც ინგამ ამ ტურნირზე გაიტანა. საერთოდ, მთელი ტურნირის მანძილზე „ივერია" ლიდერობდა. სულ ჩვენმა გუნდმა თერთმეტჯერ აიღო მეტოქის კარი, საკუთარში კი მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა. არაოფიციალურ ჩემპიონობასთან ერთად ჩვენმა გუნდმა ფეხბურთელ ქალთა პრაღის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ამ ტურნირის ორგანიზატორია ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული ჟურნალი „მლადა სვეტი".

დღეს ქართულ ფეხბურთს განახლების დრო დაუდგა. ცხადია, თავისი სიტყვა ქალთა ფეხბურთმაც უნდა თქვას. პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ შექმნილია ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს მის მასობრიობას. ქალებში ბევრია ფეხბურთის თამაშის მსურველი, რაც იმის საწინდარია, რომ ქალთა ფეხბურთი ისეთივე ტარდიციული გახდება, როგორც სპორტის სხვა სახეობები. ალბათ, შორს არ არის ის დრო, როდესაც ქალთა გუნდები ფეხბურთში თავიანთ რესპუბლიკურ ჩემპიონატს ჩაატარებენ.

განახლების სიო შეეხო ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელ ქალთა გუნდ „ივერიასაც", იგი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. მაგრამ... გუნდი დღეს კვლავ უპატრონოა.

მართლაც, „ვისია, ვისია?..

**დავით იუკურიძე,**
საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროსი მეცნიერი — რედაქტორი.

* * *

ჰონორარი ავტორის თხოვნით ხეიკ-ის ფონდში გადაირიცხება. ანგარიშის ნომერია 700608 მრეწვმშენბანკის თბილისის საოპერაციო სამმართველო.

## საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში



# გველირსება კი...

ლემა თითქოს აღარც კი უნდა ჰქონოდა, მაგრამ...

მასპინძლები არ შეურიგდნენ მარცხს და ძალების სრული მობილიზებით ათამაშდნენ. მათ ისარგებლეს ტექნიკოსთა უკანა ხაზის შეცდომებით და თხუთმეტიოდე წუთში, მეტოქის დაცვის ხაზში წარმოქმნილი „ღრიჭოების“ გამოყენებით, სამი ლელო გაიტანეს (ტყემალაძემ, წიწილაშვილმა, გიორგაძემ), რასაც თბილისელთა გარემარბ ლ. გაფრინდაშვილის დიდებული, 60-მეტრიანი გარღვევა და ლელო მოჰყვა — 12:17. ქიათურელებმა ღონე მოიკრიბეს და

ახეთ პრინციპულ და დაძაბულ თამაშებს კვალიფიციური არბიტრები სჯიდნენ.

და კიდევ: ამჯერადაც ვერ მოხერხდა თამაშის გამართვა ჩხუბისა და აყალ-მაყალის გარეშე. ოღონდ მოთამაშეები აქ არაფერ შუაში არიან. საქმე ისაა, რომ რაგბის ქიათურელი „გულშემატკივრები“ მთელი მატჩის მანძილზე უშვერი ლანძღვა-გინებით იკლებდნენ სტუმრებს, მატჩის შემდეგ კი მოედანზეც შეიჭრნენ და იქ განაგრძეს „საქმის გარჩევა“.

დასასრულ, ერთი კითხვით მივმართავ საქართველოს სარაგბო საზოგადოებრიობას: გველირსება კი ოდესმე ადამიანური ეროვნული ჩემპიონატი?

* * *

ლვეოდა და მთელი გუნდი შეწყობილად თამაშობდა. ერთ-ერთ მომენტში ნოზაძემ რამდენიმე მეტოქეს ლამაზად აუარა გვერდი და ზოიძეს ლელო გაატანინა, რომელიც ძნელაძემ გარდასახა.

ცოტა ხანში ძნელაძემ სამი გაცუდებული საჯარიმოს შემდეგ, როგორც იქნა, ალღო აუღო ქარს და სამი საჯარიმოს გატანით საგრძნობლად დააწინაურა თავისი გუნდი. ამან, როგორც ჩანს, საბოლოოდ გატეხა აკადემიელები. ისინი მოეშვნენ და ჯანელიძესა და კვანტალიანს ორი ლელო ფაქტიურად უბრძოლველად გაატანინეს. ძნელაძემ გარდასახა ორივე ლელო.

**მერაბ რატიშვილი.**

**„იმერეთი“ (ჭიათურა) — სტუ (თბილისი) 18:17 (0:4).**

**ჭიათურა. ნაგუთის სტადიონი. 30 აპრილი.**

წვიმისაგან დატბორილ, ატალახებულ მოედანზე თამაშმა პოზიციური ხასიათი მიიღო. პირველ წუთებში მეტოქეები ძირითადად ფეხით თამაშობდნენ და ასე ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. ორმხრივ იერიშებს წარმატება არც ერთი მხარისთვის არ მოუტანია, ვინაიდან ბოლო მომენტებში მოთამაშეებს ან ფეხი უსხლტებოდათ, ან ხელიდან უვარდებოდათ სველი ბურთი.

ტაიმის ბოლოსთვის გამოიკვეთა ტექნიკოსთა უპირატესობა, რომელიც მალე ანგარიშშიც აისახა: შუამარბმა შამათავამ გაარღვია მოლი და ლელო გაიტანა.

მეორე ტაიმიც თბილისელთა იერიშებით დაიწყო. მათ მეტოქე მოედნის საკუთარ ნახევარს „მიაჯაჭვეს“ და შედეგმაც არ დააყოვნა: ქიათურელთა გადაცემის ჩაჭრის შემდეგ, თეზელაშვილმა გაიტანა მეორე ლელო, რომელიც გარდასახა კობახიძემ. მალე იმავე კობახიძემ შეაგდო საჯარიმო. ანგარიში 0:13 გახდა და ამის შემდეგ სტუ-ს პრობ-

მათი დამრტყმელის საცერაძის მიერ გატანილი ორი საჯარიმოს წყალობით გამარჯვებაც მოიპოვეს —18:17.

აქ შეგვეძლო დაგვემთავრებინა მატჩის მიმოხილვა, ის არასასიამოვნო ამბები რომ არა, რომლებიც ამ თამაშში და თამაშის შემდეგ მოხდა. ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე მატჩში უკვე იდგა მსაჯობის საკითხი. თუ ამ პრობლემას რაგბთან ზოგიერთი მსაჯის დიდი ხნის „განშორებით“ ვხსნიდით, ჭიათურაში გამართული თამაშისთვის ეს არგუმენტი ნამდვილად არ გამოგვადგება, რადგანაც ქუთაისელი მსაჯი დეისაძე ორიოდე თვის წინ მოქმედი მორაგბე იყო, რისი წყალობითაც კარგად უნდა იცნობდეს თანამედროვე რაგბის სპეციფიკას. მით უფრო ძნელი ასახსნელია მისი საქციელი: იგი ხომ **თამაშის წესების არცოდნას ამჟღავნებდა უმარტივეს სათამაშო სიტუაციებში.** აღარაფერს ვამბობთ იმ ათი (!) წუთის შესახებ, რომელიც მსაჯმა თამაშს დაამატა, თუმცა მატჩში ერთი შეფერხებაც არ ყოფილა. არადა, **სწორედ ამ ათ წუთში გავიდა ის ბურთები, რომლებმაც განაპირობა მატჩის შედეგი.**

**გასაგებია, რომ მცოდნე მსაჯების ნაკლებობას განვიცდით, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც შესაძლებელია, რომ**

* * *

**„მიმინო“ (თბილისი) — „აკადემია“ (თბილისი) 31:3 (4:3).**

**თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 3 მაისი.**

რაგბის გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ ამ მატჩს. მათ ერთი საკითხი აინტერესებდათ: კანონზომიერი თუ იყო აკადემიელთა გამარჯვება ამ გუნდების ათი დღის წინანდელ შეხვედრაში. როგორც თამაშმა აჩვენა, „აკადემიის“ გამარჯვება უფრო შემთხვევითი ყოფილა, რადგანაც „მიმინომ“ ყოველმხრივ — ტექნიკურად, ტაქტიკურად, თუ ფიზიკურად დაჯაბნა მეტოქე.

მატჩის პირველსავე წუთებიდან „მიმინომ“ დაეუფლა ინიციატივას და თამაშის ბოლომდე არ გაუშვია იგი ხელიდან, თუმცა ანგარიში მხოლოდ ტაიმის ბოლოსკენ გაიხსნა, როდესაც ძნელაძემ კონტრშეტევიდან ლელო გაიტანა, რასაც უმალვე მოჰყვა აკადემიელი ნ. წიკლაურის გატანილი საჯარიმო.

სათამაშო სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. „მიმინოს“ უძლიერესი რგოლის — ნახევარდაცვის (ჯანელიძე, ძნელაძე) ჩინებული თამაშის გამო შერკინებასა და სამმეოთხედელებს შორის კავშირი არ ირ-

* * *

**აპრილში ნათამაშევ შეხვედრებში წესრიგის დარღვევისთვის ორ-ორი თამაშით დისკვალიფიცირებული არიან ფხაკაძე („სათაფლია“), ვ. წიკლაური, ამირეჯიბი (ორივე — „აკადემია“), კვაჭანტირაძე, დვალი, ჩიქავა (სამივე — „მიმინო“), ნ. მამრიკიშვილი („ასოციაცია“), მარჯანიშვილი („ელმავალი“), თითო თამაშით — ზ. მოდებაძე („აკადემია“) და დ. მამრიკიშვილი („ასოციაცია“). დანაშაულის შეფასებაში რაგბის კავშირი პრინციპული უნდა იყოს, სამწუხაროდ თამაშზე დაშვების ფაქტი საწინააღმდეგოს მეტყველებს.**

ჯერაც უცნობია „იმერეთის“ — „აიასა“ და „სათაფლია“ — „გელათის“ შეხვედრათა შედეგები, დღეს გათამაშების ცხრილს ვერ ვაქვეყნებთ.

**იმედია, გაირკვევა, თუ ვისი მიზეზით ვერ იღებს დროულად შედეგებს საქართველოს რაგბის კავშირი.**

მორიგი მატჩები შაბათ-კვირასა და სამშაბათს გაიმართება: 5 მაისს ითამაშებენ „გელათი“ — „უნივერსიტეტი“ და „ზოოვეტი“ — „სათაფლია“. 6 მაისს სტუ ვარკეთილში ეთამაშება „იმერეთს“, ხოლო 8 მაისს „ელმავალი“ „ასოციაციას“ უმასპინძლებს.

## მხოლოდ ორი ყაიმი

**იუგოსლავიის** ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდა იუგოსლავიის ცნობილ საჭადრაკო კლუბ „გოშას“ ვაჟთა გუნდს.

მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა ყაიმით: რაიკოვიჩ-ჩიბურდანიძე და ბოიკოვიჩ-კახიანი.

დანარჩენ პარტიებში გაიმარჯვეს მასპინძლებმა: მარტინოვიჩმა — გაფრინდაშვილთან, [illegible]ისტიჩმა — ალექსანდრიასთან, მარ[illegible]კოვიჩმა — გურიელთან და დიორ[illegible]ჩმა — არახამიასთან.

# „მერანი“ №-№ 9-10

**გამოვიდა** გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მორიგი ნომერი. იგი 16-გვერდიანია და ეძღვნება ახლახან დამთავრებულ საქართველოს 1990 წლის ეროვნულ ჩემპიონატს ქალთა შორის. აქ უხვადაა წარმოდგენილი როგორც ტექსტობრივი, ისე ფოტომასალა. საინტერესოა, აგრეთვე, ცხრილები, რომლებიც ასახავენ როგორც სპორტულ შედეგებს, ისე ბრძოლის მიმდინარეობას.

ამავე ნომერშია უძლიერეს ვაჟთა და ქალა საერთაშორისო რეიტინგები უკანასკნელი მონაცემების მიხედვით.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება წერილი, თუ როგორ გახდა 60 წლის წინათ ვიქტორ გოგლიძე პირველი ქართველი ოსტატი ჭადრაკში ვლადიმერ ნენაროკოვთან საკვალიფიკაციო მატჩში გამარჯვების შემდეგ.

აქვეა დასრულებული ინტერვიუების ციკლი „როგორ ემზადებიან ქართველი მოჭადრკე ქალები მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირებისათვის“. ამჯერად რედაქციას ორი სტუმარი ჰყავს — საერთაშორისო დიდოსტატი ქეთევან არახამია და საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი.

რედაქტორი

**თ. გაჩეჩილაძე**

## უეფა-ს თასზე

**3 მაისს** შედგა უეფა-ს თასის 1989-90 წლების გათამაშების პირველი ფინალური მატჩი. ტურინის „იუვენტუსმა“ თავის მინდორზე, 45 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, მიიღო ფლორენციის „ფიორენტინა“.

ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა ისტორიაში იშვიათია, როცა ფინალში ერთმანეთს ხვდებიან ერთი ქვეყნის გუნდები. ამ მატჩში „იუვენტუსმა“ ანგარიშით 3:1 (1:1) სძლია მეტოქეს, საპასუხო შეხვედრა ფლორენციაში გაიმართება ორი კვირის შემდეგ.

## ოცდამეორედ

**ბერნი.** საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა თავისი ბოლო მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს 5:0 და ოცდამეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს. (უძლიერესთა ოთხეული):

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 15-1 | 6 |
| შვეცია | 3 | 1 | 1 | 1 | 11-12 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 1 | 1 | 8-12 | 3 |
| კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 7-16 | 0 |

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა ტრადიციისამებრ დაასახელეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ მეკარე — პაშეკი (ჩეხოსლოვაკია), მცველები — ტატარინოვი, ფეტისოვი (ორივე — სსრ კავშირი), თავდამსხმელები — ხომუტოვი (სსრ კავშირი), აიზერმანი (კანადა) და რაიჩელი (ჩეხოსლოვაკია). მეორე სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება: ირბე (სსრკ), ელდებრინგი (შვეცია), კოფი (კანადა), ბურე (სსრკ), ნილსონი (შვეცია), კამენსკი (სსრკ).

## „სპორტპროგნოზი“

### მე-17 ტირაჟის შედეგები (28-29 აპრილი)

1—2, 2—1, 3—2, 4—X, 5—2, 6—2, 7—2, 8—1, 9—X, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე შედეგს. მე-13 წყვილის შედეგი, იმის გამო რომ თამაში არ შედგა, განსაზღვრულია წილისყრით.

# გიწვევთ ქალთა წყალბურთი

(დასასრული)

ასპარეზობაზე გამოვასწორებთ. ამის თქმის უფლებას მაძლევს ჩვენი გოგოების განწყობილება, ბრძოლისკენ რომ მიუწევთ გული და თავიანთი გულშემატკივრების თვალწინ თავის გამოჩენა სურთ. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე წრის შეხვედრებისათვის საგანგებოდ მოვემზადეთ. გუნდში სიახლეა, სამუშაოდ მოვიწვიეთ ერთერთი საუკეთესო სპეციალისტი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბორის მეგედი.

რაც შეეხება პირველი წრის შეხვედრებს, იქ უიღბლობაც გვდევდა თან — მასპინძლებთან შეხვედრას ერთი გოლის სხვაობით ვიგებდით, საბოლოოდ კი დამარცხებულებმა დავტოვეთ აუზი. ბოლო ბურთი ჩვენს კარში მატჩის უკანასკნელ წამზე გავიდა. მეორე დღეს კი, წაგებით გოგნებულმა გოგოებმა, დასანანი მარცხი იწვნიეს აუტსაიდერ კრასნოდარის „ნივასთან“. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ამ შეჯიბრებაში მსგავსი, რამ არ გამეორდება და შევასრულებთ ამოცანას — მოვხვდებით უძლიერესთა შორის, იქ კი ვნახოთ, შევეცდებით შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი გუნდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა წყალბურთში, რომელმაც ბოლო წელს თვისობრივი ნახტომი გააკეთა წინ. სახელდობრ, შარშანდლიდან ტარდება ქვეყნის ოფიციალური ჩემპიონატი, შეიქმნა სსრ კავშირის ნაკრები, რომელშიც ოთხი ჩვენი მოთამაშე ირიცხება, „ივერიას“ უფლება აქვს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოვიდეს და ვიმედოვნებ, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს ამ ფრიად პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, ვოცნებობ, აგრეთვე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ქალთა შორის, მაგრამ სადღეისოდ სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი გუნდი გვყავს საქართველოში...

დაბოლოს, სპორტის ღირსეულ შემფასებლებს ვიწვევ ასპარეზობაზე, დარწმუნებული ვარ, რომ ქალთა წყალბურთი მიმზიდველი სანახაობაა, გულშემატკივართა მხარდაჭერა კი წარმატების ერთ-ერთი საწინდარია.

შეხვედრები გაიმართება 5, 6, 7, 8, 10 და 11 მაისს, დასაწყისი 15 საათზე, 12 მაისს 11 საათზე, ჩვენი გუნდი (12 მაისის გარდა) შეხვედრებს იწყებს 18 საათზე.

**გათამაშების ცხრილი დღეისათვის ასე გამოიყურება:**

| | | ქ | ბ. |
|---|---|---|---|
| 1. | „ურალოჩკა“ (ზლატ.) | 14 | 81-40 |
| 2. | „სალიუტი“ (გორკი) | 10 | 55-51 |
| 3. | მხუ (მოსკოვი) | 8 | 62-57 |
| 4. | ფისკ (მოსკოვი) | 7 | 59-59 |
| 5. | „ივერია-ფისკ“ (თბ.) | 6 | 45-48 |
| 6. | „სლავუტიჩი“ (კიევი) | 4 | 44-51 |
| 7. | „ნივა“ (კრასნოდარი) | 4 | 35-52 |
| 8. | „სტრელა“ (ზაპორ.) | 3 | 34-57 |

## ჩემპიონობა ვადამდე

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. მან ანგარიშით 1:0 დაამარცხა „სენტ-პაული“ და მეთორმეტედ მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონობა, რაც რეკორდია დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ისტორიაში.

„ბაიერნს“ ამჟამად 46 ქულა აქვს, მეორე ადგილზე მყოფი „კიოლნი“ მას 5 ქულით ჩამორჩება.

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზაფხულის საგამოცდო სესიები ტარდება შემდეგი გრაფიკით:

**I კურსი — 17-31 მაისი**
**V კურსი — 7-27 მაისი**
**II კურსი — 1-15 ივნისი**
**III-IV კურსები — 1-20 ივნისი.**

სტუდენტები ვალდებულნი არიან ინსტიტუტში გამოცხადებისას წარმოადგინონ შრომის წიგნაკის ამონაწერი პროფილით მუშაობის შესახებ.

სტუდენტები, რომლებმაც დროულად ვერ ჩააბარეს დავალიანება საგნებში, გამოცდებზე არ დაიშვებიან.

**დეკანატი.**

**„სპორტპროგნოზი“, მე-19 ტირაჟის პროგრამა (11-14 მაისი)** — **პროგნოზი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. | ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) | 11.V | 50 | 40 | 10 |
| 2. | „არარატი“ (ერევანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 11.V | 30 | 30 | 40 |
| | **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა)** | | | | |
| 3. | „ავტოდორი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (მახაჩყალა) | 12.V | 40 | 40 | 20 |
| 4. | „ბურანი“ (ვორონეჟი) — „ავანგარდი“ (კურსკი) | 12.V | 70 | 20 | 10 |
| 5. | „ოკა“ (კოლომნა) — „სპარტაკი“ (ორიოლი) | 12.V | 20 | 20 | 60 |
| 6. | ასკ (ხაბაროვსკი) — „ავტომობილისტი“ (კრასნოიარსკი) | 13.V | 80 | 10 | 10 |
| 7. | „ლოკომოტივი“ (ჩიტა) — „სელენგა“ (ულან-უდე) | 13.V | 50 | 40 | 10 |
| 8. | „მეტალურგი“ (ნოვოკუზნეცკი) — „ჩკალოვეცი“ (ნოვოსიბირსკი) | 13.V | 50 | 40 | 10 |
| | **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 9. | „ტორპედო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) | 14.V | 80 | 10 | 10 |
| 10. | „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (კიევი) | 14.V | 10 | 60 | 30 |
| 11. | „დინამო“ (მინსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 14.V | 50 | 40 | 10 |
| | **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 12. | „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) | 14.V | 60 | 30 | 10 |
| 13. | „დინამო“ (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 14.V | 10 | 30 | 60 |

**თბილისის „შევარდენის“ სტადიონი**

**(ბ. ხმელნიცკის ქუჩა №40)**

**6 მაისი ● ფეხბურთი**

**საქართველოს ჩემპიონატი**

**(უმაღლესი ჯგუფი)**

**„შევარდენი-1906“ (თბილისი) —„მზიური“ (გალი)**

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 6 მაისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მარცვ“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 68435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიზანიშვილის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 შეკ. 08779